# სამშობლო

კვირა

13 სექტემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს ეს ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მ., და დარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 175 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 175

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"

— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი თომა ვასილის ძე ფერაძე და მეუღლე მისი ელენე სილოვანის ასული შვილებითურთ, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას დაუვიწყარი შვილის

ქეთოსას.

გამოსვენება კვირას, 13 ენკენისთვეს, ნაშუადღევის სამ საათზე. საკუთარი სახლი, მეორე ალექსანდროვის ქუჩა. 2—2—1081

უზომოდ დამწუხრებულნი მშობლები: კოლეჟსკი ასესორი პლატონ ნიკოლოზის ძე სალაძე და მეუღლე მისი სონა ვლადიმერის ასული შვილებით: კალისტინა, ანეტა, შალვა, ლეონიდი, დათიკო, პლატონი, ცეცა და გივი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 20 ენკენისთვეს, სოფ. დიდიკუხში, ნიჟაროულის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება გარდაცვალებიდან 40 დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის, პირველის ორის დაუვიწყარი შვილის, ხოლო დანარჩენთა ძვირფასი ძმის

ვლადიმერის (ვალოდია) სულის მოსახსენებლად.

3—2—1083

კვირას, 13 ეკენისთვეს, დღის 12 საათზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი მტერთან ბრძოლით დაჭრილის და ჭრილობებიდან გარდაცვალებულის პოდპოლკოვნიკის

გიორგი დავითის ძის კლდიაშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აცხადებენ მამიდა მისი მართა ხოსიას ასული მაჭავარიანისა და შვილები მისი: ილიკო, ნიკოლოზ, ივანე და დავით პავლეს ძენი მაჭავარიანები, მარიამ კლდიაშვილისა, ელისაბედ ანთაძისა, ელენე ნანუკაშვილისა და მანანა მაჭავარიანის ასული. 1—1

ეგნატე ივანეს ძე ნარსია, გერასიმე, ესტატე და არსენა ნიკოლოზის ძენი ფოჩხუები მეუღლეებითურთ და შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და ძვირფასი პირველ ოთხთა დედა, მეხუთის დედამთილი, ხოლო დანარჩენთა დიდედა

მზეხა.

პანაშვიდი დღეს 6 საათზე, ხოლო გამოსვენება საკუთარ ბინიდან პოდგორნი ქუჩა, სახლი ფოჩხუასი, კვირას, 13 სეკტემბერს, ნაშუადღევს 3½ საათზე ქუთაისის სადგურზე, საიდანაც მიცვალებულს წაასვენებენ სოფელ ბანძას.

ცალკე ბარათები არ დარიგდება. 1—1

„სინათლის" საზოგადოების გამგეობა მოუწოდებს ყველა თავის თანამგრძნობს დაესწროს მის მიერ ახლათ დაარსებულის

დედათა ქართული სასწავლებლის კურთხევას,

რომელიც მოხდება ამა წლის 14 სეკტემბერს

შუადღის 12 საათზე, სასწავლებლის ბინაზე (თფილისის ქ., გ. მეიფარიანის სახლი).

ქ. ქუთაისი.

ექიმი ქალი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა

ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. ● საღ. 5—6 ს.

ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანიას სახლები. თვ. 975

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ხუთშაბათიდან, 10 სექტემბრიდან ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი

აღმდგარი და დამარხებული.

ძლიერი თანამედროვე დრამა 6 ნაწილათ, ლიუსი მერნის მონაწილეობით.

ქალაქის თეატრი

19 სეკტემბერს, ცნობილი ახალგაზდა მომღერალი ვარ. ლოთქიფანიძე გამართავს

კონცერტს.

ხუთ განყოფილებათ.

1. ალ. წერეთელი წაიკითხავს მოკლე რეფერატს ხელოვნებაზე.

2. წარმოდგენილი იქნება დრამატიული ეტიუდი ილ. ჭავჭავაძისა.

დედა და შვილი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ეპიტაშვილისა და ი. ქლენტი.

3. კონცერტიული განყოფილება: მონაწ. მიიღ.: ბ-ნი ვარდენ ლოთქიფანიძე, თბილისიდან მოწვეულნი: ა) პროფ. თბილისის მუზიკალურ სასწავლებლისა, ცნობილი იტალიური ოპერის არტისტი ბ-ნი ბრონჯი-მუტტინი (დრ. ბარიტონი), ბ) ქ-ნი ე. ა. ხორინა (მეცცო-სოპრანო) და ქ-ნი ანდრონიკაშვილ-ციციშვილისა (პიანინოზე დამკვრელი), რომელნიც შეასრულებენ თავიანთი რეპერტუარიდან სხვა და სხვა ოპერის არიებს და რომანსებს.

4. დივერტისმენტი. მონაწილეობას მიიღებენ: გალაქტიონ ტაბიძე, ვ. რუხაძე, დ. მესხი, გუცა და ილ. ქლენტი.

5. ისევ „კონცერტიული განყოფილება: სხვათა შორის ბ-ნი ლოთქიფანიძე შეასრულებს ქართულ რომანსებს.

დაუკრავს ორკესტრი. დაწვრილებით აფიშებსა და პროგრამებში.

ანონსი: კვირას, 20 სეკტემბერს გალაკტ. ტაბიძის საღამო ქალაქის თეატრში დაწვრილებ. შემდეგ ანონსი:

მ. დუნდუას ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან გადაკეთდა საშუალო კერძო პროფესიონალურ სასწავლებლათ, ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით. სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სწავლის ფასი ჩვეულებრივ: სააზბანოსა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 25 მანეთი. მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება.

მისამართი: ბალახვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს იმ პირთ, რომელთაც სურთ სასწავლებლის ადგილის მიღება ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებელში, რომ ამა სეკტემბრის 17, 18, 19 და 20 რიცხვს მოხდება მსურველთაგან

სანიმუშო გაკვეთილების მიცემა

ქალაქის 2 პირველდაწყებით სასწავლებლის შენობაში, გენერლის ქუჩაზე. 3—1

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.


# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

## კავკასიის ასპარეზი.

თფილისი. კავკ. ჯარ. შტაბისაგან ოფიციალური. 11 ეკენ. ვანის რაიონში მზვერავთა ნაწილებს შეტაკება უხდებათ ოსმალებთან. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

სოფია. 11 ეკენ. დღეს გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია.

ათინა. 10 ეკენ. საგანგებო. რადგანაც მეფესა და ვენიზელოს შორის სრული შეთანხმება მოხდა საყოველთაო მობილიზაციის შესახებ დეკრეტზე მეფემ ხელი მოაწერა სამხედრო პირები და ომში გასაწვევი ჯარის კაცები უნდა გამოცხადდენ თავთავის ნაწილებში 48 საათის განმავლობაში. დეკრეტზე ხელის მოწერას ხალხი თანაგრძნობით და აღფრთოვანებით შეხვდა.

რეველი. სახელმწიფო საბჭოს წევრებათ ესტლიანდიის თავად-აზნაურობამ აირჩია ბარონი, შტაკელბერგი და ბარონი კორფი.

ბუქარესტი. 11 ეკენ. პარლამენტის ჯგუფმა გენერალ კაინიჩიანოს, ტაკიონესკოსა და ფილიპესკოს მეთაურობით მიმართა დეპუტატებსა და სენატორებს და მოუწოდა მათ დაესწრონ კრებას იმის გამოსარკვევათ, თუ როგორ ებრძოლონ და მოსპონ გერმანელების პროპაგანდა, რომელიც შეურაცხყოფს რუმინეთის სახელს.

პეტროგრადი. 11 ეკენ. გარდაიცვალა შინაგან საქმეთა მინისტრთა ნამყოფი, სახელმწიფო საბჭოს წევრი დურნოვო.

ნიში. 11 ეკენ. ბულგარეთის მთავრობის მიერ საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადებამ და ბულგარეთის ჯარების თავის მოყრამ სერბიის საზღვარზე ბალკანეთის მდგომარეობა გაართულა. პიშიჩმა ეს გარემოება ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოების წარმომადგენლებს აცნობა.

სტოკჰოლმი. 11 ეკენ. ზუნდის სრუტის დაალყვის გამო ბერლინიდან დამატებით ცნობები მოვიდა, რომლის თანახმათაც უფრო მეტი მანძილია დაალყული, ვიდრე ეს მოხსენებული იყო წინად. დაალყული მანძილი უახლოვდება შვეციის ტერიტორიალ წყლებს.

თეირანი. 10 ეკენისთვე. ისფაგანიდან მშვიდობით დაბრუნდა რუსისა და ფრანგების კოლონია. მგზავრობამ 12 დღე გასტანა. ქარავანი შესდგებოდა 250 კაცისაგან, რომელიც შვიდი ვერსის მანძილზე იყო გაჭიმული. მგზავრებს იფარავდა რუსის 27 კაზაკი, 30 ჟანდარმი, უკანასკნელთა მეთაურათ იყვნენ შვეციის ორი ინსტრუქტორი და სპარსეთის ოფიცრები, რომელთა თანაგრძობით მოპყრობა მგზავრების ყურადღებას იქცევდა, თეირანის მდგომარეობა ამ ბოლო დღეებში გამოკეთდა, რაზეც გავლენა იქონია ჩვენი ჯარის გაძლიერებამ აქ გერმანელების ზვაობას ფრთები შეეკვეცა. პრესა დაწყნარდა.

მინსკი. 10 ეკენ. მინსკის გუბერნიაში დაიკეტა ზინგერის ათი მაღაზია და კანტორა.

ნოვოჩერკასი. 10 ეკენ. ეროზათა კავ-

შირს განზრახვა აქვს აავოს 4 სამხედრო გოსპიტალი. ქალაქის თვითმართველობამ უფასოთ დაუთმო ადგილი შენობების ასაგებათ. ჟიტომირის სამიწისმზომელო სასწავლებლის ქონება აქ გადმოიტანეს. სწავლას ადგილობრივ სამიწისმზომელო სასწავლებელში დაიწყებენ.

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 11 ეკენ. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. რიგის ყურეში გამოჩნდენ გერმანელების მფრინავები, რომელნიც ჩვენმა გიდროპლანებმა განდევნეს. სოფელი ბტკაონი რამდენიმეჯერ ხელიდან ხელში გადადიოდა, ვიდრე 10 ეკენ. დილით ჩვენმა ჯარმა არ დაიკავა. ბირსმალონის რაიონში მტრის ცდა სოფელ სტრიუგეს უკან დაბრუნების გამო, უნაყოფოთ დარჩა. დვინსკის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ბევრ ალგილას არტილერიის გრიგალისებური ცეცხლი ვითარდება და ამავე დროს სწარმოებს გაშმაგებული იერიშები. ნოვოალექსანდროვსკის რაიონში, დვინსკის გზატკეცილის ორსავე მხარეს, გაცხარებული ბრძოლა გძელდება. დრისვიატის ტბების რაიონის ყელებშიც აგრეთვე გაცხარებული ბრძოლაა. ვილეიკიდან ჩვენმა ჯარმა შეტევით გამოდენა მტერი. ჯერ-ჯერობით ამ რაიონში ხელში ჩავიგდეთ 8 ზარბაზანი, 9 ყუთი ყუმბარა და შვიდი ტყვის მტყორცნელი. წართმეული იარაღი მტრის წინააღმდეგ ვამოქმედეთ და უკუვაქციეთ მტრის ჯავშნიანი ავტომობილი.

ოშმიანის აღმოსავლეთ რაიონში და იქით, ზემო ნემანის სამხრეთ-დასავლეთით, და აგრეთვე ლიდა-მოლჩადის რკინის გზის აღმოსავლეთით მთელს ფრონტზე შეუპოვარი ბრძოლები ხდება, ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს მდ. გავიაზე სოფელ სუბოტნიკთან, სადაც მტერმა შესძლო მდინარის მარცხენა ნაპირზე გადმოსვლა. მოლჩადის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერი დიდი ზარალით უკუვაქციეთ. ბარანოვიჩის სამხრეთით მტრის მოწინავე ჯარმა მოაღწია მდინარე მეშანკის მარჯვენა შესართავამდი. ოგინის არხზე მომხდარ ბრძოლაში გერმანელები დამარცხდენ და გაიქცენ. სოფ. ლოგინში ხელახლათ დავიკავეთ. ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა მტრის ბარგის ნაწილზე იერიში მიიტანა, ამოსწყვიტა მოსამსახურეები და გაანადგურა საბარგო ურმები. დუბროვთან ლოგინის აღმოსავლეთით გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს.

## დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 10 ეკენ. საღამოს ოფიც. ცნობა. არტუაში საარტილერიო ბრძოლა გძელდება, განსაკუთრებით სუშე-ნევილის სექტორებში. მოპირდაპირემ ცეცხლის ამთები ყუმბარები დაუშინა არასსა და მის მიდამოებს, სროლას მოჰყვა რამდენსამე ალაგას ცეცხლი, რომელიც მალე ჩავაქრეთ, ჩვენმა არტილერიამ ძლიერი ცეცხლი დაუშინა გერმანელების სიმაგრეებს ავრის სამხრეთით და დიდათაც დააზიანა. ვევრის რაიონში ბრძოლა ხელით სასროლ ყუმბარებით ხდება. შამპანში ძლიერი საარტილერიო სროლაა. არგონის ტყეში მაასსა და მოზელს შუა ჩვენი ბატარეია ენერგიულათ უპასუხებდა მტრის ცეცხლს სწორედ იმ დროს, როცა გრძელდებოდა ბრძოლა ხელით სასროლ ნაღმებით, განსაკუთრებით აპრემონის ტყეში. ლოტარინგიის ფრონტზე ჩვენ ენერგიულათ დავუშინეთ ზარბაზნები გერმანელების სიმაგრეებს. ვოგეზებში, ვიზემბახის ჩრდილოეთით მოხერხებულათ ავაფეთქეთ რამდენიმე ნაღმი. ჩვენმა ერთმა დირიჟაბლთაგანმა ღამით ყუმბარები ესროლა რამდენსამე სადგურს, სადაც შემჩნეული იყო მტრის ჯარის მოძრაობა. ჩვენმა მფრინავებმა მტრის ჰაეროპლანები იძულებულ ჰყვეს ჩამოშვებულიყვნენ. მფრინავთა ჯგუფმა ყუმბარები დაუშინა ოფენბურგის, კონსლოკისა და ვუეზიენის სადგურებს, და აგრეთვე მტრის ბანაკს ლანდერმაკთან და მიდელკერხესთან.

# ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

## მთავარ-სარდლის მაკენზენის დანიშნულება.

როგორც ბუქარესტის ერთი გაზეთი იუწყება ფელდმარშალი მაკენზენი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ რუსეთის ფრონტიდან გაიწვიეს ჲ რომელიც დუნაიროვსკის რაიონში ხელმძღვანელობდა, ახლა ავსტრო-გერმანელთა შეერთებული ჯარების მთავარსარდლათ ინიშნება და სერბიის ფრონტზე მიდის. მისი დანიშნულების მიზანი იქნება, სერბია გადალახოს და გერმანიის ძალები სტამბოლში შეიყვანოს. (ბ. გ.)

## რუსეთის გამოჩენილი სარდლები.

თვით გერმანელი მაიორი მორატი აფასებს რუსეთის სარდლებს ერთს გერმანულ გაზეთში და შემდეგს სწერს: თავი ისახელეს და ბრწყინვალე ნიჭი გამოიჩინეს რუსის გენერლებმა: რუზსკიმ, ივანოვმა, ევერტმა და ალექსეევმა. მორატის აზრით, გენერალი რუზსკი შესანიშნავათ ახერხებს ჯარის ცოცხალი ძალის შენახვას და მსხვერპლის მინიმუმამდე დაყვანას. რუზსკი ახლა რუსეთის ჩრდილო ფრონტის მთავარ-სარდლათ ითვლება.

მაიორი მორატი გენერალ ალექსეევსაც დიდათ აქებს. მისი აზრით, ეს გენერალი ისეთ რედაქციას უკეთებს გენერალურ შტაბის ცნობებს, რომ მისი წყალობით ყოველს უბირ მოქალაქესაც ბრძოლის ველის ვითარება ნათლათ აქვს წარმოდგენილი.

რუსეთის დასავლეთის მთელი ფრონტების მთავარსარდლათ ახლა დანიშნეს გენერალი ევერტი, რომელსაც საზღვარგარეთ ჯერ არ იცნობენ, მაგრამ რუსის ჯარის ნდობა დამსახურებული აქვს. რაც შეეხება გენერალ ივანოვს, უნდა ალვიაროთო, ამბობს იგივე მაიორი, რომ მისი უკანა რაზმების მოხერხებული ბრძოლებით, რომელსაც ეს გენერალი ხელმძღვანელობდა, თავი იხსნა რუსის არმიამ ამ საშინელ გასაჭირ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი მაკენზენის ფალანგამ ჩააყენა. (ბ. ვ.)

## გერმანელთა სამხედრო სიეზდი სოფიაში.

ათინიდან იუწყებიან, რომ 2 სექტემბერს სალონიკის გზით გერმანელი სამხედრო ატაშე ათინის გერმანელ მისიასთან ერთად სოფიაში გაემგზავრა. იქითკენვე გაემგზავრა სტამბოლის გერმანელი სამხედრო ატაშე; სოფიაში მოიყრიან თავს აგრეთვე ბუქარესტისა და სოფიის გერმანელი სამხედრო ატაშებიც. გაზეთების ცნობით, გერმანიის სამხედრო მთავრობას ნაბრძანები აქვს, რომ ბალკანეთის გერმანელმა სამხედრო ატაშეებმა თათბირი მოახდინონ სოფიაში იმის გადასაწყვეტათ, თუ რა გზით და როგორ უნდა შეიჭრას სერბიაში გერმანია-ავსტრიის ჯარები და როგორ გადალახონ იგი. (ნ. ვ.)

## მობილიზაცია.

პეტროგრადიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ ბულგარეთში მობილიზაცია გამოაცხადესო.

## ვილჰელმის ბრძანება.

ვილჰელმმა ახალი ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც ზღვაზე წყალქვეშა ნავებით ბრძოლის წესი უნდა შეიცვალოს: ამიერიდან წყალქვეშა ნავები თუმცა სუმბარინებით იბრძოლებენ, მაგრამ მეტი თავდაჭერითა და წინასწარი გაფრთხილებით მოიქცევიან.

## ინგლისს ჯარი აკლია.

ლონდონის გაზეთის „ტაიმსის“ სამხედრო მიმომხილველი მთავარ მინისტრის, ასკვიტის სიტყვას განმარტავს და ამბობს, რომ ინგლისს ახლა 2,300,000 ჯარის კაცი ყავს, რომელთაგანაც საფრანგეთის ასპარეზზე მილიონამდე არის გაგზავნილი. საჭიროა კიდევ ერთი მილიონი ჯარის კაცი, რომ ბრძოლის ველზე დანაკლისი შევსებულ იქნას და ამას გარდა 600,000 მეომარი, რომ საკუთარი ტერიტორიის დაცვა შევიძლოთ. ყველა ამეების გარდა, საჭიროა კიდევ დიდი ჯარი ვიყოლიოთ დარდანელში. როგორც ხედავთ, მიმომხილველის აზრით, მდგომარეობა სასიამოვნო არაა, თუნდაც ინგლისის კოლონიების ჯარიც მხედველობაში მივიღოთ. (რ. ს.)

## სერბიის ფრონტზე ბრძოლა განახლდა.

ავსტრიის შტაბი აცხადებს, რომ სერბიის ფრონტზე ბრძოლა განახლდა. გერმანიიდან იუწყებიან, რომ ბელგრადს ისევ დაუშინეს ზარბაზნები, სერბიის არტილერიაც მარჯვეთ უპასუხებს. (კ. ს.)

— რუმინია-ავსტრიის საზღვრებზე გამაგრებასა და მზადებას განაგრძობს.

— ხმა გავრცელდა, რომ სოფიაში სახალხო კრებას (პარლამენტს) იწვევენო.

# ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

## რუსეთი.

## სახ. სათათბიროს ხელახლა მოწვევის გამო.

— ხელმწიფე იმპერატორის ბანაკიდან დაბრუნდენ: სამხედრო მინისტრი პოლივანოვი და შინაგან საქმეთა, შჩერბატოვი; რა ამბავი მოიტანეს გაზეთებმა ჯერ კიდევ არ იციან. (კ. ს.)

— ხმები კი დადის, რომ სათათბიროს 27 სექტემბრისათვის ისევ მოიწვევენო. ამბობენ, რომ ამ კითხვის გადაწყვეტაზე მინისტრების მოხსენების გარდა დიდი გავლენა მოახდინა საზღვარგარეთიდან ფინანსთა მინისტრის ბანაკის მოხსენებამო, რომელიც ალბათ სესხის აღების სიძნელეს შეეხებოდა. (რ. უ).

## ქალაქებისა და ერობათა სიეზდი მოსკოვში.

— საზოგადო კრებაზე ასტროვი ამბობს: მდგომარეობა საშიშროა, კატასტროფა მოსალოდნელია! რუსეთის დასახსნელათ თავშეკავება და სულის სიმტკიცე—დისციპლინა არის საჭირო! მაშინ რუსეთი უთუოთ გაიმარჯვებსო!"

ფედოროვი წინადადებას იძლევა, რომ სიეზდმა განსაკუთრებული დელეგაცია გაგზავნოს სათხოვრათ; ამის წინააღმდეგ სხვათა შორის ლაპარაკობენ დეპ. ტრუდოვიკი ძიუბინსკი და თბილისის ხმოსანი ბაბოვი, რომლებიც საჭიროთ ცნობენ, რომ სიეზდმა მოწოდებით მიმართოს საზოგადოებას და ხალხს და სათათბიროს ხელახლა მოწვევა მოითხოვონ. ზოგი ორატორი ამნისტიის საკითხსაც შეეხო, მაგრამ მათ წინააღმდეგ ცნობილმა ალექსანდრე გუჩკოვმა გაილაშქრა; იგი ამბობდა: საჭიროა, რომ მთავრობასთან ბრძოლაში მისი პრინციპიც შეურყეველი დარჩესო; [illegible] რამ მოთხოვნით [illegible] სახელ. სათათბიროს [illegible] და საზოგადოების ნდობით აღჭურვილ სამინისტროს შედგენით. სიეზდი დაეთანხმა გუჩკოვს და შესაფერი რეზოლიუციაც გამოიტანა.

— ერობათა სიეზდზე თ. ლვოვმა სთქვა: "ჩვენი ამ ჟამათ დიდი თავშეკავება და მოქალაქობრივი ვაჟკაცობა გვმართებს: მტერზე გამარჯვების მოწყობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მთავრობა კანონიერ წარმომადგენლობითი დაწესებულებების საშუალებით ხალხთან ერთად იმოქმედებს; ამიტომ სახელ. სათათბიროს ხელახლავ მოწვევა აუცილებელია".

ცნობილმა გურკომ კი წარმოსთქვა: „ჩვენ—წესიერების მომხრენი ვართ და ამიტომ ყოველთვის მზათ ვართ ისეთ მთავრობასაც მივესალმოთ, რომელიც მხოლოდ მათრახით არის აღჭურვილი, ოღონდ კი ის მაგარი იყვეს!"

9 სექტემბერს სიეზდი პრაქტიკულ კითხვების გამორკვევას შეუდგა. ამნაირათ ორი დღის მუშაობით მოსკოვის სიეზდებმა ოთხი ლოზუნგი წამოაყენეს: 1) ომი ბოლომდის, ვიდრე არ გავიმარჯვებთ, 2) სახ. სათათბიროს დაუყონებლივ მოწვევა, 3) ნდობით აღჭურვილი მთავრობა; 4) საზოგადოების დაწყნარება კ. ს.

## ქუთაისი, 13 სექტემბერი.

დღევანდელი ცნობა დეპეშათა სააგენტოსი ერთხელ და სამუდამოთ ბოლოს უღებს იმ ჰუჭმანს, რომელსაც განიცდიდა, ბულგარეთის ნეიტრალიტეტის საკითხში, ოთხთა შეთანხმების დიპლომატია. ბულგარეთმა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. სერბიის პრემიერ მინისტრმა პაშიჩმა ოთხთა შეთანხმების მთავრობებს აცნობა, რომ ბალკანეთზე სრულიად ახალი გარემოება იქმნება და ბულგარეთის ჯარები უკვე სერბიის საზღვარს უახლოვდებიან. მეტია, რასაკვირველია, იმაზედ ლაპარაკი, თუ ვის წინააღმდეგ ახდენს მობილიზაციას ბულგარეთი. ოსმალეთ-ბულგარეთის შეთანხმების შემდეგ და ტერიტორიალურ კომპენსაციის აღების შემდეგ ოსმალეთისგან, ბულგარეთმა თავისი თავი სამთა კავშირის რიგში ჩააყენა. რა პოლიტიკური შედეგი უნდა მოჰყვეს ამ ახალ აქტს საერთაშორისო ომისა? ეს მომავალის საქმეა. თავი და თავი კი ჯერ იმ სტრატეგიულ გეგმის შესრულებაა, რომელიც იმ თავითვე ჰქონდა გერმანიას განზრახული: გაერთიანება ფრონტის და გალაშქრება სერ-

# რომელი?

(ვილდედან).

სულ იყვნენ ოთხნი,
ორი იმსხვერპლა ვეშაპმა ომმა
და ორნიც კიდევ იბრძვიან მტრებზე;
წმინდა მამაო დღეს მომცეს ცნობა,
მესამეც მოკლეს ბრძოლისა ველზე.
მე არა ძალმიძს ეს უთხრა ცოლსა,
კიდევ გაუხსნა გულის იარა.
თქვენა გთხოვთ, მამავ, წირვისა შემდეგ
უთხრათ, რომ დავრჩით ერთის ამარა!

* *
*

წირვა გათავდა, ხალხი გამოდის,
დედა კი იცდის, უნდა მიიღოს ლოცვა—კურთხევა;
მაგრამ მღვდელი სდგას ხელებ გაწვდილი,
დედას უცქერის და არ ინძრევა.
დედისა გულმა მყის იგრძნო იგი.
მოძღვრისა ბაგე რასა ფარავს, უჭირს სათქმელი
და მორჩილების ხმით შეეკითხა:
„მამავ, რომელი"?

კოწია ერისთავი.

# ქართველი გრიგორიანები თფილისში.

(შემდეგი იხ. „სამშ." 174-ე ნუმერი).

ქართველ გრიგორიანებით, როგორც ვსთქვით, სავსე იყო ძველად სპარსეთი, ზოგი მათგანი საქართველოშიც დაბრუნდა და თფილისში მოსვლის დროს თავი სომხათ აღიარა და ამ სჯულზევე დარჩა საქართველოშიც. შვილებსაც ამ სჯულზე ნათლავდა და საეკლესიო წესებსაც ამ სჯულის მიხედვით ასრულებდა. ამით მისი პიროვნება, ოჯახი, ცოლ-შვილი და ქონებაც იფარებოდა. ქართველობით კი დევნის, შიშისა და წვალების მეტი ოვგი სხვას არას მოელოდა. ამიტომაც ქართველისათვის მარტო სომხის ეკლესიის აღიარება იყო საჭირო, თორემ სხვას მას არავინ მოსთხოვდა.

ახლა მოვიყვანთ ზოგი გვარის ცნობებს, რომელნიც 1795 წ. ომის გამო სომხობას დაუკავშირდა.

სპარსეთში ასეთ ქართველთა შესახებ ჩვენ ვიცით შემდეგი ამბები:

**ლოლაძეები.** ამათ თფილისშივე, 1795 წ. სპარსთა მოსვლის წინ აღიარეს თავი სომხათ, მის მერე ესენი ამ სჯულზე დარჩენ. ამათგან ზოგი სპარსეთშიც იყო წაყვანილი. ლოლაძეებთან ერთად მთელს ქართველთ უბანსაც თავი სომხათ გამოუცხადებია და ამიტომ იგინი დღემდე ამ სჯულზე დარჩენილან. დღეს ესენი ტომითაც სომხობენ და ენითაც.

**გორგაძე.** ვაჭარი. ამან მტრის წინაშე თავი სომხათ აღიარა. ასევე აღიარეს მათმა ნათესავებმაც, რის შემდეგაც იგინი ამ სჯულზე დარჩენ დღესაც ამათი შთამომავალნი გორგაძიანცათ იწოდებიან და სცხოვრობენ კუკიაში. თფილისში ერთი მეწიგნე ბუკინისტიც არის ამ გვარის.

**სიხარულიძე.** ვაჭარი. მან აღამაჰმადხანის წინ თავი სომხათ აღიარა, ამის შთამომავალნი თფილისში ცხოვრობდნენ. ახლა, უეჭველია, სხვა გვარი აქვთ.

**გოგიძეები.** თფილისელი ხელოსნები. 1795 წ. ვინაობა და სჯული სომხათ აღიარეს, ამათი შთამომავალნი თფილისში დღესაც ცხოვრობენ და გოგიანცად იწოდებიან.

**შიოშვილი.** ვაჭრები თფილისში, შეძლებულნი. თავი სომხათ აღიარეს 1795 წ. და მით გადარჩენ მტერს. მათი გვარის წევრი იყო მდიდარი შიოევი. სიტყვა შიო ხომ სომხებს არა აქვთ. შიოევის მამულის საქმე მაინც გაიხსენეთ. ამ კაცის ცოლმა კი უმეტესი ნაწილი თავისი ქონებისა სომხის ეკლესიას დაუტოვა. ეს ფაქტი ფაქტად რჩება.

**გაბაშვილი.** გაბაშვილები თფილისში აზნაურები არიან, ზოგნი ვაჭრებიც იყვნენ. ერთმა მათგანმა 1795 წ. მტრის წინაშე თავი სომხათ აღიარა, ამათი შთამომავალნი დღესაც ცხოვრობენ თფილისში, ვერაზე.

**მენაბდეები.** თფილისელნი, მართლაც ხელობითაც, მენაბდე. 1795 წ. თავი აღიარეს სომხათ, ამით გადარჩენ მტრის მახვილს. თფილისში დღესაც ცხოვრობენ. ამათი შთამომავალნი მენაბდოვები—სომხის სჯულის მაღიარებელნი არიან. ამათ თან ერთად სხვა მათ მეზობლებსაც მიუღიათ ეს სჯული. ეს მოხდარა ვარეთ უბანს.

მაინც წესი ისეთი ჰქონიათ სპარსთ, რომ ნებით დამორჩილებულნი ყეინის წინ მიყავდათ, შორიახლო აჩოქებდენ თავის მოსაკვეთად, მაგრამ მას ყეინი აპატიებდა და ამის შემდეგ ყეინისა და ისლამის ერთგული გიაური უნდა გამხდარიყო. ამავე დროს დაპატიმრებულთ ვინაობას, გვარსა და ხელობას ჰკითხავდენ, ყველა მათგანი მალავდა ქართველობას, ყველა სომხათ აღიარებდა თავსა და სჯულს.

**მეწულოვი.** ქართველნი, ხელოსნები 1795 წ. მტრის წინ ამათ თავიანთი ნათესავებით სომხის სჯული აღიარეს, ამიტომ იგინი სიკვდილს გადარჩენ. თფილისში მცხოვრებნი მეწულოვები ამათი შთამომავალნი არიან.

**ჩერქეზიშვილები.** ამათ შთამომავალნი დღეს სომხებათ წოდებულნი განჯისკენ ცხოვრობენ.

**გზირიშვილები.** სცხოვრობდენ თფილისში, სოფ. მარტყოფშიაც ცხოვრობენ. 1795 წ. გადავიდა ერთი ამათ ოჯახთაგანი სომხათ, დღეს ეპიტიანცებათ იწოდებიან.

**მაისაშვილები.** რაჭაში მთელი სოფელია. ამ გვარიდან ერთი ხელოსანი თფილისში ცხოვრობდა. 1795 წ. თავი სომხათ გამოაჩინა მტრის წინ, მით გადარჩა სიკვდილს. ამათ შთამომავალნი დღეს ვერაზე ცხოვრობენ.

**ზუბაშვილები.** ქართლში მთელი სოფელია. ცხოვრობენ ვერაზე და ზუბიანცად იწოდებიან.

**ალიხანაშვილი.** რაჭველი. მთელი სოფელია ამ გვარის მცხოვრებლებით. თფილისში ცხოვრობდა რამდენიმე ხელოსანი კაცი. 1795 წ. მათ თავი სომხათ აღიარეს. ამათი შთამომავალნი არიან თფილისში მცხოვრებნი ალიხანოვები.

**[illegible]შვილები.** თფილისელი ვაჭრები. 1795 წ. თავი სომხათ აღიარეს, დღეს ამათ შთამომავალნი თფილისში სომხათ ირიცხებიან. ლაზარე სიტყვა სომხებს არ აქვთ. ლაზარეს მაგიერ ყაზარას არქმევენ სახელათ.

**მოსეშვილები.** სავსეა ქართლი და იმერეთი ამ გვარის წევრებით. 1795 წ. თფილისში მათ სომხათ აღიარეს თავი და მით გადარჩენ აკლებას; თფილისის მოსესოვები, ანუ მოსესიანცები ამათი შთამომავალნი არიან.

**გოგიაშვილები.** მთაწმინდელები. 1795 წ. სცნეს თავი სომხათ. ამათი შთამომავალნი დღეს გოგიანცად იწოდებიან თფილისში.

**წერეთელი.** თფილისში მცხოვრებნი. თუმცა არა ასეთი ისტორიული გარემოებით, ხოლო მაინც 1795 წ. დაუკავშირდნენ გრიგორიანობას, დღესაც ცხოვრობენ ამათი შთამომავალნი კომეხ წერეთლებათ წოდებულნი თფილისში.

**ავალიშვილნი.** ავალიშვილები დღეს თფილისის მოქალაქენი, კუკიელები დაკავშირდნენ გრიგორიანობას XVIII საუკუნის ბოლოს. დღესაც, შეიძლება, იყვნენ ამათი შთამომავალნი.

**მაღალაშვილები.** კუკიაში მცხოვრებნი, დაკავშირებულან იმავე საუკუნის ბოლოს. მათი შთამომავალნი დღესაც უნდა ცხოვრობდნენ აქით.

**მამულაშვილები.** მამულოვები. ძველი მოქალაქენი, ამათი შთამომავალნი დღესაც უნდა ცხოვრებდნენ თფილისში.

**მდივანი, ანუ მდივნიშვილი,** დღეს მდივანოვი. ძველი მოქალაქენი, დაკავშირებულნი ამავ 1795 წ. ამათი შთამომავალნი დღესაც ცხოვრობენ თფილისში.

**გალეგაშვილები.** დღეს გალეგოვები, დაკავშირებულნი ამავ 1795 წ. ცხოვრობდნენ თფილისში.

ბიის ტერიტორიით გალიპოლისკენ და იქნება მცირე აზიის ნაპირებისკენაც. ბულგარეთის ჩარევა ომში სულ ახალი კონიუქტურას ჰქმნის ომისას. ამ ახალი გარემოებას შეუძლიან გაართულოს კიდეც ომის ვითარება და შეუძლიან აგრეთვე დაუახლოვოს იგი თავის ლოღიკურ ბოლოს. ზავი ეხლა ისევე შესაძლებელია, როგორც გაგრძელება ომისა, გამოწვეული ახალის ფაქტორით. ბულგარეთის გამოსვლა საომარ ასპარეზზედ მნიშვნელოვანია არა მარტო მით, რომ ახალ პერსპექტივებს ჰქმნის მომავლისას, უფრო მნიშვნელოვანია იგი მით, რომ მხოლოდ ეხლა შეიძლება გაგება იმისა, რაც აქამდის მოხდა ომის თხუთმეტი თვის განმავლობაში და რაც მუდამ ცხადი არ იყო ჩვენთვის. მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ბულგარეთის გამოსვლით დამარცხდა ოთხთა შეთანხმების დიპლომატია. ეს ყველაზედ უმცირესია, რაც კი მოხდა აქამდის. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ერთმა უდიდესმა ფაქტორთაგანმა თანამედროვე ომისა ბულგარეთის აზრით თვისი მნიშვნელობა დაჰკარგა და, როგორც განაცხადა რადოსლავოვმა, ანგარიშის გაწევა რუსეთთან, რომელიც „აღარ არსებობს", ვერაფერი ქომაგი იქნება ჩვენი ეროვნულ იდეალების განსახორციელებლათო. მიზეზთა და შედეგთა ასე ვიწროდ ახსნა შეუძლებელია. ცხადია, სხვა მიზეზებიც არსებობდენ იმისა, რომ ბულგარეთის ნეიტრალიტეტი შეუძლებელი გახდა. მაგრამ ასეთი განმარტება მაინც მაჩვენებელია იმისა, რომ რუსეთის პრესტიჟი დიდხანს აკავებდა ბულგარეთს აშკარა გამოსვლისგან და ვინ იცის, რა რეალურ მნიშვნელობას მიიღებს ბულგარეთისთვის ის დასკვნა, რომ დროებითი შესუსტება რუსეთისა პირდაპირი გზაა "ბერლინისკენ. ბულგარეთი, როგორც სლავიანური სახელმწიფო, გაერთიანებულ სლავიანთა პოლიტიკის საკითხში, მუდამ განმარტოებული იყო. მისი პრეტენზიები კონსტანტინოპოლზე და სრუტეებზე ისევე დიდი იყო, როგორც რუსეთის და უფრო დიდიც, რადგანაც პოლიტიკა ჰიპერბოლიურ სურვილებისა პატარა ერებში უფრო მეტია, ვიდრე დიდებში. ერი, რომელიც 1912 წელში უკვე ჩატალჯაში იყო, ოცნებით კონსტანტინეპოლშიც იქნებოდა და იქ რუსეთის აჩრდილი ნახა. აქედან იწყობა მისი სლავიან სახელმწიფოთაგან გამოთიშვა და პირველი ომიც 1912 წელს სლავიანურ სახელმწიფოსთან—სერბიასთან. სერბია ავანპოსტი იყო რუსეთისა ბალკანეთზე და მასთან ომი მომავალში რუსეთისგან სამუდამოთ ჩამოშორებას მოასწავებდა. საერთაშორისო ომმა ეს აშკარა გახადა. ბულგარეთი აგროვებს ჯარებს. მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, რა სულისკვეთებით ჩაუვლიან ეს ჯარები მეფე—განმანთავისუფლებელის ძეგლს სოფია'ში?!

## სამფეროვანი რუსეთი.

მხატვარი რომ ვიყო, დღევანდელი რუსეთის ვითარებას დასასურათებლათ დავხატავდი ბრძოლის ველს, სადაც გამოვიყვანდი სამ სხვადასხვა ფერად ჩაცმულ-შეიარაღებულ ლაშქარს: შავათ, ყვითლათ და წითლათ; მივცემდი მედროშეთ ამავე სამფერათ შეღებილ ბაირაღებს, რომლებზედაც ეწერებოდა—შავზე: „ნახევრათ ახალი, მარა ისევ ტანჯული", „ძველი რუსეთი;" ყვითელზე: „ნახევრათ ახალი, მარა ისევ ტანჯული", ხოლო წითელზე: „სრულიათ ახალი რუსეთი და იმავე დროს თავისუფალიც".

ერთ უზარმაზარ ფრონტზე დავრაზმავდი შავათ მოსილ ლაშქარს, რომელიც წინ უხვდება და გზაზე ეღობება წინ მავალ ორ რაზმს: ყვითელსა და წითელს. ერთი ამათგანი—ყვითელი ხშირათ ურიგდება მას (შავს) და დროებითი სამშვიდობო ზავს კრავს ხოლმე მასთან, რის გამოც ბრძოლის ველზე შორს ვერ მიდის და ერთ ალაგას რჩება. ხოლო მეორე—წითელი შეურიგებელი მებრძოლია: იგი გამუდმებით წინ მიიწევს და არც მსხვერპლს, არც ტყვია წამალს და არც ასაფეთქებელ მასალას არ ზოგავს, ოღონდ მიზანს მიაღწიოს: მკვიდრი, მაღალი თავისუფალი პოზიცია დაიკავოს!!

სწორეთ ასეთი სურათი მეხატება ხოლმე თვალწინ, ყოველთვის, როცა რუსეთის სახელ. სათათბიროს დათხოვას წარმოვიდგენ და ახალანდელ დიად მომენტს ვითვალისწინებ.

მართლაც რომ მოსწრებულათ უნდა მემარჯვენეების წინამძღოლმა, მარკოვმა რუსეთის ლიბერალებს „ყვითლები". ყვითელი ფერი, როგორც შავს ისე წითელი ფერის ელემენტებს შეიცავს ხოლმე.

სწორეთ ასევე რუსეთის ლიბერალები ხშირათ „შავს" უკავშირდებიან, ძალით იმოსებიან და სამშობლოს განსაცდელზე გოდებით მოსთქვამენ; თუმცა ხანდახან ბრძოლის ქინძე ისინიც მიდიან, ძალაუფლების ხელში ჩაგდების წყურვილით ისინიც იტანჯებიან და იმის გამო ხშირათ ისინიც „წამოწითლდებიან" ხოლმე, მაგრამ უცბათ შიში გაუელვებთ ხოლმე ლანტი და მყისვე იბნიდებიან: წითელი ფერი სადღაც ეკარგებათ! ასეთია მათი ბუნება და ხასიათი და ასეთივეა მათი ბრძოლის მსვლელობაც!

აი ამ უკანასკნელ დღეებში მომხდარი ამბები: „შავების" კარნახითა და მოთხოვნით სახელ. სათათბიროს დაითხოვეს.

რა ქნეს „ყვითლებმა" ამ იერიშის საპასუხოთ?!

კადეტების ლიდერმა, მილიუკოვმა უცბათ დაიყვირა: „ბოიკოტი მაგათ"! „სათათბიროიდან" უკან გავიწვიოთ ჩვენი კაცებიო." მაგრამ ამავე დროს „წითლების" ყიჟინა შემოესმა მას, შიშმა აიტანა და იმ წამსვე გონს მოვიდა: „არა, სჯობია დარჩენ" „სათათბიროში" ჩვენი კაცები, ჩემი წინადადება უკანვე მიმაქვსო".

კიდევ უფრო წინდახედულმა მისმა ამხანაგმა, კადეტების „ოქროპირმა", როდიჩევმა რაღაც ნაირი „პროვოკაციის" სახელითაც დააშინა საზოგადოება: „არ აჰყვებათ, დამშვიდდით, თორემ „პროვოკაციას" გიმზადებენო!"

ასე და ამ კილოზე დაიწყეს საბედისწერო მომენტში კადეტებმა ბრძოლის სიმღერა და ამავე კილოზე მისცეს მათ ბანი რუსეთის სხვა ჯურის პროგრესისტ ლიბერალებმაც!

მხოლოთ არ შედრკენ და არც ცხრებიან მარტო „წითლები." ისინი მტრის პირველ ახმაურებაზედვე წამოიჭრენ საბრძოლველათ და მოპირდაპირეთ თავდაუზოგველათ ეკვეთნენ.

ასეთი პოზიცია დაიკავა დღევანდელ ბრძოლაში, სხვათა შორის, დეპ. კერენსკიმ და არ შემიძლია აქვე ჩემი გაოცება არ გამოვსთქვა ერთი ქართული გაზეთის მიმართ, რომელიც ჯერ გვარწმუნებდა, რომ ვითომ კერენსკიც ლიბერალებს აყვა და თითქო მანაც „პროვოკაციის" წინაშე შიში გამოსთქვა. მერე კი იგივე ორგანო ბ-ნ იმ—ამის პირით გვეუბნება: „ჩვენ გვესმის მილიუკოვის პოლიტიკური სიბეცე—ჩვენ არ გვესმის კერენსკების გაბუტვა და განზე გადგომაო".

დიახ, ჭეშმარიტათ რომ არ „ესმისთ მათ კერენსკის განდგომა" და „წითლების" პოზიცია?! სასურველი კია, რომ კარგათ ჩაუკვირდენ და გაიგონ, ვინაიდან რუსეთის შემადგენელ ერების მომავალი ბედიც, ვით სრულიად რუსეთის „ხალხების" საერთო პოლიტიკურ ეკონომიური მდგომარეობა, სავსებით ამ „გაგებაზე" და ამ პოზიციის მტკიცეთ დაცვაზეა დამოკიდებული!"

უდიდესი მომენტი, რაც საკაცობრიო ისტორიამ რუსეთს არგუნა პირველათ, ჩვენს საერთო სახელმწიფოს უსაშინელესი განსაცდელის წინაშე აყენებს: ალიმართა ისტორიული დილემა, გამოინასკვა საზოგადოებრივი კვანძი, რომლის გადაჭრაც მხოლოდ ზღაპრული გმირის ხმალს შეუძლია!

და, აი ამ გმირის როლი დღეს რუსეთში მისმა დემოკრატიამ უნდა შეასრულოს.

მეცნიერი ამბობს:... როგორც ყოველმა ცხოველმა ერთხელ მაინც უნდა განიცადოს კატასტროფა, რომ განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდეს—მშობიარობის აქტი, მაგალითად, ანუ ფრინველებისთვის კვერცხიდან გამოჩეკა—სწორეთ ასევე საზოგადოებას ზოგჯერ მხოლოდ კატასტროფის გზით შეუძლია განვითარების მაღალი საფეხურზე ავიდეს."

და, აი რუსეთს ახლა სწორეთ ეს დღე ადგია და იმიტომ არის, რომ იგი სამფერათ შეიღება: შავათ, ყვითლათ და წითლათ.

**გიგო დემოსიძე.**

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

ქუთაისში უკვე ჩამოვიდა შალვა დადიანი და დრამატიულ საზოგადოების გამგეობასთან მოლაპარაკებას შეუდგა. შ. დადიანს სურს გაიგოს რა დახმარებას აღუთქვამს გამგეობა ამხანაგობას სეზონის გასახსნელად.

რადგანაც ტფილისიდან შეკვეთილი კლიშეები თავის დროზე არ მოგვივიდა, დამატების მორიგი ნომერი გამოვა მომავალ კვირას, ხოლო გაზეთის მორიგი ნომერი უქმეების გამო, გამოვა ოთხშაბათს 16 სექტემბერს:

✦ საოლქო სასამართლოს სისხლის განყოფილების სესია ამ ჟამათ სოხუმში იმყოფება სხვა და სხვა საქმის გასარჩევად.

✦ პარასკევს, 11 ეკენისთვეს შუადღის 12 საათზე მესხეთის ქუჩაზე მცხოვრებ ვლასი მუმლაძემ რევოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა ტერეზია ძოწენიძის ქალი. დაჭრილი ქალი ექიმ ჭოღოშვილის საავათმყოფოში მოათავსეს დამნაშავე პოლიციამ დააპატიმრა.

✦ 7 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, დ. ჭიათურაში ცეცხლმა ფერფლათ აქცია გ. გოჯეჯიანის ორ სართულიანი სახლი, დიდის მაცადინეობით ცეცხლი სხვა სახლებს აღარ გაჩენია. მხოლოდ ახლო მეზობლები დაზარალდენ სახლების დაცლის გამო. რადგანაც მრავალი ავეჯეულობა დაიმტვრა და ზოგი დაიკარგა კიდეც.

✦ დ. ჭიათურის წიგნ-საცავ-სამკითხველო გადატანილ იქნა ჭიათურის ყოფილ ექიმ მუხაძის ბინაზე.

✦ პოლიციის ქუჩის მცხოვრებნი ქუჩის უსუფთაობის გამო სჩივიან. წვიმიან დღეებში აქ გავლა ყოვლად შეუძლებელია. ამის შესახებ მრავალჯელ აცნობეს ქალაქის თვითმმართველობას, მაგრამ ჯერ ჯერობით არაფერი პასუხი არ არის. მცხოვრებთ განზრახვა აქვთ ქუთაისის გუბერნატორს სთხოვონ, რათა განკარგულება მოახდინონ ამის შესახებ.

✦ **გამოცემის რეორგანიზაცია** გამოვიდა ჟურნალ-კოოპერაციის № 32 ცენტრალური საკოოპერაციო კომიტეტის მოწოდებით. ამიერიდან ჟურნალი გამოვა ყოველ-კვირეულათ უმთავრესად საპროპაგანდო წერილებითა და ქრონიკული ცნობებით, „საკოოპერაციო ბიბლიოთეკის" 10 ნომრისა და „კოოპერაციის კრებულის" 4 წიგნის დამატებით წლიურ ხელის მომწერთათვის. მოწვეულია საუკეთესო ძალები, რომელთა ვინაობაც ახლო მომავალში გამოცხადდება.

✦ შაბათს, 19 ეკენისთვეს, გაიმართება ახალგაზდა ცნობილი მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძის საღამო:

✦ ხვალ, 14 ეკენისთვეს, სად. ძირულაში იასონ გაბილაია წაიკითხავს ლექციას კოოპერატივზე.

✦ პირველ ხარისხის (წითელ ბილეთიან) ჯარის კაცთა ნაწილი გაგზავნეს გუშინ 12 ეკენისთვეს.

## პასუხი.

### დ. ხარაგოულის სამკითხველოს „გამგეობას".

„სამშობლოს" 140 №-ში მოთავსებულია დ. ხარაგოულის სამკითხველოს „გამგეობის" მიერ ჩემდამი მიძღვნილი „ღია წერილი". ვინაიდან ხსენებული ღია წერილი სამკითხველოს მთელი გამგეობის გამომახილათ არ მიმაჩნია, ამიტომ სიტყვას გამგეობას ბრჭყალებში ვსვამ და პასუხსაც იმავე „გამგეობას" ვაძლევ. საქმე იმაშია, რომ შეუძლებელია და არავითარი გამგეობა, როგორც ესეთი, თავს ნებას არ მისცემს ისეთს უმართებულო და შეუფერებელ კილოზე სწეროს და ილაპარაკოს, როგორიც „ამშვენებს" იმ „ღია წერილს". „თავაზიანი" კილოს ნიმუშებს შემდეგ მოვიყვანთ, ხოლო ახლა იმ წერილის შინაარსზე გადავალთ. თითქმის წერილის შესავალშივე „გამგეობა" გვატყობინებს რა, რომ სამკითხველოს მართვა-გამგეობა ამ ბოლო ხანებში მის ხელში გადავიდა, გულახდილათ გადმოგვცემს: „სიმართლე უნდა აღვნიშნოთ, და თქვენც დაგვეთანხმებით, რომ ამ მცირე ხნის განმავლობაში, თუმცა ბევრი არაფერი გაგვიკეთებია, მაგრამ არც დაგვიზოგია არავითარი შრომა, რომ აღნიშნული სამკითხველო დაგვეხსნა უმწეო მდგომარეობისაგან"-ო.

„გამგეობა" სიმართლეს აღნიშნავს და ჩვენც ვეთანხმებით, და ვისაც ჩვენი წერილი გადაუკითხავს, დაგვეთანხმება, რომ ჩვენც ამაზე გვქონდა საუბარი: გამგეობას „ბევრი არაფერი გაუკეთებია", ხოლო ცოტა ხომ-კი გაუკეთებია, თუ დაუჯერებთ „გამგეობას"; „წარმოდგენების გამართვით და სხვა და სხვა საშუალებით". ეს „სხვა და სხვა საშუალება" რაში მდგომარეობ და არ ვიცით ხოლო გვაუწყოს პატივცემულმა „გამგეობამ": რა შუაშია და რა როლს თამაშობს წარმოდგენების გამართვაში; რა შრომას ეწევა ამ მხრივ. ჩვენ-კი ვიტყვით, რომ მთელი სიმძიმე ამ საქმისა, თავისივე წმინდა მოვალეობის შეგნებით, ნაკისრი აქვს იმ „ჩვენ მიერ ნაქებ" სცენის მოყვარეთა ჯგუფს. „გამგეობას" გზა-კვალი არევია, თავის დანიშნულება ვერ შეუგნია და გვეუბნება: ის საკითხი, რომ დაგესვათ თქვენი წერილის წერის დროს, თუ რა და რა საშუალებით შეიძლება დალარიბებულ სამკითხველოს მდგომარეობის გაუმჯობესობა-უკეთესი იქნებოდა და შემდეგ გვისვამს მთელ რიგს კითხვებს იმ ხასიათისას თუ როგორ [illegible] და რა ღონისძიებით [illegible] სამკითხველოს მდგომარეობა... [illegible] ვართ დავარწმუნოთ პატივცემული "გამგეობა" რომ ამ საქმის კვლევა-ძიება ჩვენს პირ და პირ დანიშნულებას არ შეადგენს, ხოლო ჩვენის მხრით უსვამთ შემდეგ კითხვას: რა შეადგენს სამკითხველოს გამგეობის მოვალეობის საგანს და რა უნდა აკეთოს მან; როგორ უნდა გაუძღვეს ნაკისრ მოვალეობას. ამაზე, „როცა წინა წერილში გაკვრით მოვიხსენიე კრებების მოწვევის აუცილებლობა, „გამგეობამ" მუქარის ხმით მიპასუხა: „დღეიდან, კვირაში, თუ მეტჯერ არა, სამჯერ მაინც გავმართავთ კრებასო და, თუ ამან არ უშველა ჩვენს სამკითხველოს, მაშინ ღირსეულ სახელს გიწოდებთო". მართლაც, ღირსეული სახელის ღირსია „გამგეობა". როგორც ახლა ვრწმუნდები, პატივცემულ „გამგეობას" იმის პირობას ვერ მივცემ, რომ კრების მართვით ის წინ წასწევს სამკითხველოს მდგომარეობას; „გამგეობას" შეუძლია კვირაში სამჯერ-კი არა ყოველ-დღე მართოს კრებები, მხოლოდ ისე, რომ არაფერი გააკეთოს. აი, გამგვარი უნარის პატრონია „გამგეობა" რომ მეტი არ მოუვიდეს სამკითხველოს და "გამგეობაც" არ დაიქანცოს, ჩვენ ვურჩევდით თვეში ერთჯერ მაინც მოიწვიოს კრება; სწორედ იმის გამოსარკვევად, თუ როგორ იხსნას სამკითხველო განსაცდელისაგან.

„გამგეობა" ირწმუნება, თითქო მე ჩამდგარი ვიყო ორ „ძვირფას და უსაჭიროეს კულტურულ დაწესებულების" შუა და „ერთის მეოხებით მსურს მეორემ სული დალიოს", პატივცემულო „გამგეობავ", ეს რომ ყალბი გონების მოსაზრებაა თვით თქვენ მიერ მითვისებული ჩემი სიტყვები ადასტურებენ („ორი ძვირფასი და უსაჭიროესი კულტურ. დაწესებ). დიაღ, ჩემთვის ორივე ძვირფასია: სამკითხველოც და დრამ. საზოგადოებაც, კიდევ მეტი, შეიძლება სამკითხველოს უპირატესობას ვაძლევდე.

„„გამგეობა" შურით ივსება, როდესაც ღირსეულს ვუძღვნი იმ „სამ ერთ არსებას" („გამგეობის" სასულიერო ტერმინი). რატომ ჰგონია პატივცემულ „გამგეობას". რომ უსათუოდ იმ სამი ადამიანის შორის უნდა ვიყო, როცა მათ ქებით ვიხსენიებ. ეტყობა შენ-ჩემიანობის გრძნობას დიდი ადგილი ჰქონია „გამგეობის" წიაღში. აქაც იგივე აზრისა და გრძნობის სიყალბე: ვამშვიდებ „გამგეობას" მით, რომ მე იმ „სამს ერთ არსებას" არ ვეკუთვნი. პატივცემული გამგეობა მთელ ძოხსენებას გვიკითხავს იმის შესახებ, რომ სამკითხველოს არსებობის დედა ბოძი თეატრია. რათ სჭირდება „გამგეობას" იმდენი „ტრაგიზმით" სავსე სიტყვების ხარჯვა, როცა ჩვენც კარგათ გვესმის საქმის ვითარება და წინააღმდეგი აზრის მტკიცება, გვაკვირვებს, სად ამოიკითხა „გამგეობამ". მხოლოდ, არავითარი ზნეობრივი უფლება ნებას არ უნდა აძლევდეს „გამგეობას" აიძულოს დრამ. საზოგადოება, რომ მარტო მისთვის იმუშაოს და იჯახიროს და მანაკი გულზე ხელი დაიკრიფოს.

„ჩვენ ვყოფილვართ წინააღმდეგი დრამ. საზოგადოების, თუ თქვენ ბრძანებულხართ სამკითხველოს არსებობის წინააღმდეგ", პათეთიურის კილოთი გვეკითხება "გამგეობა", ყველა ზემო ნათქვამის შემდეგ, პატივცემულო „გამგეობავ", უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ თქვენ ყოფილხართ დრამ. საზოგადოების წინააღმდეგი, და არა ჩვენ სამკითხველოს წინააღმდეგ. დიაღ, თქვენ, ორო და სამო პირო გამგეობისავ, და არა მთელი გამგეობა; ამას თქვენი ჰეროსტრატეს ღიმილი, სარკასტიული სიტყვებიც ადასტურებენ ფსიხოლოგიურათ: „ეს მათი აგებული თეატრი, რომელიც ჯერ არ არსებობს და, იარსებებს თუ არა, ალაჰმა უწყის". „ჯიბეებისაკენ გადაძახება", კუჭების სულის ჩამდგმელობა", აი, „ის ვულგარობის „მარგალიტი" ნიმუშები, რომელსაც ხმარობს „გამგეობა"

„ღია წერილის" ბოლოში „გამგეობა" მიკიჟინებს პირად ინტერესებითა და ქიშპობით ხელმძღვანელობას და მისურვებს გვერდი ამეარის ამ თვისებათათვის. უმჯობესი იქნებოდა პატივცემულ „გამგეობას" თავისთვის მიეცა ასეთი რჩევადარიგება და ისედაც მცირე ჭკუა-გონება სხვისთვის არ მოერიგებიოს. მე-კი ვიტყვი: „ისეთმა ფურმა დაწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდეს". დიაღ, მე შემიძლია ეს ვსთქვა ისეთებზე, ვინც „სხვათა შორის" ეკიდება ყოველგვარ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს. ამით ვასრულებ ჩემს საპასუხო წერილს*).

**ხშირი სტუმარი.**

*) რედაქცია ამ საკითხის შესახებ ყოველგვარ კამათს სპობს.

**თოფჩიაშვილები.** ცხოვრობდნენ მთაწმინდაში. დაუკავშირდნენ სომხობას 1795 წ. იყვნენ ვაჭრები, ამათის რჩევით, სხვა ქართველებიც მრავლად დაუკავშირდნენ. უეჭველია, დღესაც უნდა იყვნენ ამათი შთამომავალნი მთაწმინდას.

**რევაზაშვილი.** სჯული გამოიცვალეს 1795 წ. ცხოვრებდა კუკიაში რამდენიმე კომლი. დღეს რევაზაშვილებათ იწოდებიან. რევაზ-რეზო ქართულ-ოსური სახელებია.

**დურგლიშვილი.** დაუკავშირდენ სომხობას 1795 წ. თფილისში ცხოვრობდენ ჩუღურეთში. დღეს თფილისშიაც არიან გასომხებული დურგლიშვილები, ესენი ორ გვარს ატარებენ.

**სარუხანაშვილი.** დღეს სარუხანოვებათ წოდებულნი. ძველი მოქალაქენი. ამ გვარის წევრნი იყვნენ გამოჩენილი მემამულე ვაჭრები, ზოგნი სოვდაგარნიც, ცხოვრობენ მთაწმინდაში. ამგვარის ზოგი წევრი გასომხდა 1795 წ.

**კოგიშვილი.** სოფ. ენაგეთელი. 1795 წ. ენაგეთში რამდენიმე კომლი გასომხდა. ასევე გასომხდენ სხვა სოფლელებიც, ამათ თვით საყდრებიც კი გადაიტანეს სომხის წეს რიგში, როგორც, მაგალითად, თელეთისა და შავ—ნაბადის საყდრები გადააკეთეს სომხის საყდრებათ ვისიც უნდა იყოს, საყდარი, ეს ჩვენთვის ორივე ერთია, აქ ჩვენ ისტორიული ფაქტი გვაქვს მხედველობაში.

**ბასილაშვილები.** (შორნიკი ხლობით) სცხოვრობდნენ ქალაქ თფილისში. ამათგან ორი ოჯახი დაუკავშირდა გრიგორიანობას 1795 წ. დღეს ბასილოვათ ხან ბასინოვათ იწოდებიან.

**ჯავახიშვილები.** ნაამბობი ღრმათ მოხუცის მხატვ. მიხ. ჯავახიშვილის მიერ. ჩვენი გვარის კაცნი დიდი ომიანობისა და შიშიანობის (1795 წ.) დროს სომხობაზე გადასულან. თფილისის დღევანდელი ჯავახოვები მათი შთამომავალნი არიან. სიტყვა ჯავახი და ჯავახეთიც ხომ ქართულია. ძველად ძალიან ბევრი გადასულა ქართველთაგანი სომხობაზეო.

**დალაქიშვილები.** ნაამბობი მოხუცის დალაქის თვ. მოსიკ. მიერ თფილისში თათრის ომისაგან დიდი შიშიანობა იყო. თათრებს ქართველების ჯავრი სჭირდათ, ამიტომ ქართველნი ეუბნებოდნენ, რომ ჩვენ სომხები ვართო. ამდროს 1795 წ. თფილისში დალაქის შვილები გასომხებულან.

**პაატაშვილები.** ზოგნი კახეთს, ზოგნიც თფილისში სომხობას დაუკავშირდნენ. ზოგნი 1795 წ. ზოგნი წინად, დღეს პაატაშვილები სომხობაში პაატიანცად იწოდებიან.

**გარდანაშვილები.** სომხობას დაუკავშირდნენ 1795 წ. თფილისს, დღეს ესენი ვართანოვათ იწოდებიან. ვართანოვები თფილის გარდა, კახეთშიაც ცხოვრობენ გასომხებულ ქართველ ვარდანაშვილებს გარდა არიან ნამდვილი სომხის ვართანოვებიც. საქართველოში ვარდანაშვილები მთიულებიც კი არიან.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება.)

## სევდა.

ვერცხლის ფერი ღამე იყო, ღამე სავსე ვნებით,
აღმართ-აღმართ მივდიოდი ჩუმი აღტაცებით!..
მივდიოდი და ვმღეროდი ზღაპრულ ქვეყანაზე,
ყურს მიგდებდენ მთები ირგვლივ და ვარსკვლავნი ცაზე.

და შევჩერდი, რა დავლიე გზა არც ისე გრძელი;
სიმღერა კი კვლავ განვაგრძე მეტად მომხიბვლელი...
და ანაზდათ თვალი მოვკარ შავად მოსილ ქალსა
მოქანცულსა და ჩრდილივით უხმოდ მომავალსა.

მოვიდა და წინ დამიდგა სახე დაფარული,
დამირღვია მარტოობა და დამწყვიტა გული...
ტყის ნიავმა დაუქროლა მძინარ მთა და ბარსა
და პირბადე გადახადა აჩრდილს, ჩემ წინ მდგარსა!

და რა ვნახე?—სახე-მკრთალი, მოღრუბლული, ცივი:
ზედ კვდებოდა საცოდავათ ბადრი მთვარის სხივი.
მოხვდა გულს, და მას შემდეგ შიგ სულ წვამს და ცივა
ყველაფერზე ჰკოდებს სული, მარად მწუხს და ცივა.

**კამური.**

# რატომ?

გაზ. „საქართველოში“ სწერია:

სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების თავჯდომარემ ს. არუტინოვმა დელიჟანიდან ქალაქთა კავშირის ბიუროს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „ორი ათასამდე გამოქცეულმა მოიყარა თავი. ეპიდემია მძვინვარებს. მრავალი იხოცება. ხელახლად გთხოვთ სწრაფად მოგვაშველოთ ფელდშერები, სათნო დები დეზინფექტორები, 5 ათასი საცვალი... **სომხის ქალებს ნუ გამოგზავნით!“**

ამ ფრიად საგულისხმიერო დეპეშას „კავკაზმა“ მცირე შეკითხვა გაუკეთა: „რატომ?“ მართლაც და რატომ სომხის ქალები არ უნდა გაიგზავნონ? რაა ამის მიზეზი? ნუ თუ სომხის ქალები ნაკლებ მუშაობას იჩენენ? ან იქნენ სანდონი არ არიან? ანდა შეიძლება ვიფიქროთ ისიც, რომ სომხის საზოგადოება თავის ქალებს უფრთხილდება, რომ ეპიდემიის მსხვერპლნი არ შეიქნენ. მაგრამ ეს რაღაც დაუჯერებელი იქნება, ვინაიდან სხვა ეროვნებათა ასულნი სომხის ქალებზე არაფრით არიან ნაკლებნი. ასე თუ ისე, დეპეშის ბუნდოვანი მოთხოვნილება საჭოჭმანო მდგომარეობაში აყენებს ადამიანს და უნებურად „კავკაზთან“ ერთად კითხულობს: მართლაც და— „რატომ“?

# ცოტა რამ

**ისპაჰანელი ქართველების შესახებ.**

ვინც ცოტათი მაინც იცის, საქართველოს ისტორია, ისიც იცის თუ რამდენი ჭირისა, ვიშისა და უბედურების მოწმეა ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა. არ არის, მე მგონია მსოფლიო ისტორიაში ისეთი ერი, რომელსაც იმდენი ომი გადაეტანოს, როგორც ქართველებს. ყოველი მხრიდან მათ თავზე ეცემოდნენ: ლეკნი, ოსმალნი, ოსნი და სპარსნი. ქართველი ყანაში რომ მუშაობდა, ხეზე თოფიარაღი ეკიდა და ყოველ წუთს მზათ იყო მტრის დასახვედრათ. მიუხედავათ ამდენი უბედურებისა, მათ შეინარჩუნეს სამიათასი წლის განმავლობაში თავისი ენა, ზნე ჩვეულება, ლიტერატურა და ტერიტორია. თვალი რომ გადაავლოს კაცმა ქართულ ისტორიას, ვის არ გაახსენდება ვინ იყო ნადირშაი ალა მაჰმადხანი და განსაკუთრებით ულმობელი სასტიკი შაჰაბაზი, რომელმაც რამდენიმეჯერ ააწიოკა და აიკლო საქართველო. მან ესეც არ აკმარა ქართველებს და მოისურვა ამ სიტყვის ლექსიკონიდან ამოფხვრა, და მიზნის მისაღწევათ არაფერს საშუალებას არ ზოგავდა. იგი ემუქრებოდა ჩვენს წინაპართ: „დაგანგრევთ, დაგამხობ დაგახვრეთ, დავუკარგავ თქვენს ხსოვნას ყოველ სულდგმულს დედამიწისას... გავაქრობ თქვენს წარსულს. გავთელავ თქვენს ისტორიას, მოგისპობთ იმ წმიდათა წმიდას, რომლის მოგონებაც ზოგიერთ თქვენთაგანს ლოგინზე მიგდებული, სულთ მობრძავი ავადმყოფიც რომ იყოს მაინც სიცოცხლის სხივებს უბადებსო“.

მეორე მხრით ჩვენი წინაპარნი ქართველები გაიძახოდნენ: „ქართველებო, ხელი ხმალს ვიკრათ, მტერი გვანადგურებს, გვინგრევს ტაძარს, გვიკოდ გულს, ველარ მოგვხიბლავს ცა-ფირუზ ხმელეთ ზურმუხტი მხარე ჩვენი აღარ იქნება, თქვენთვის უცხო იქნება სიტყვა „სამშობლო“. მელას აქვს ხვრელი, ჩიტს ბუდე, კაცს კი სამშობლო... და ქართველებს არაფერი დაგვრჩება გარდა ბნელი და ცივი სამარისა.

ასეთი აზრებით გამსჭვალულნი ქართველნი არა ერთხელ შებმიან და გაჰკლავებიან თავის მტერთ და მუსრი გაუვლიათ მათთვის. ასეთ წმიდა აზრებით გამსჭვალულ ქართველთა შორის ერიენ ჩვენდა საუბედუროთ ისეთნიც, რომლებიც არა თუ ერჯოდნენ სამშობლოს დაცვაში, არამედ მტერს ხელს უწყობდნენ და საზიზღარ ლითონზე ყიდნენ თავის სამშობლოს ბედნიერებას. ასეთი სამარცხვინო პირების ხსოვნა, არამც თუ საქართველოში, თვით ისპაჰნელ ქართველებშიაც კი შენახულა. აი, რა მითხრა ერთმა მათგანმა საუბრის დროს: „ჩვენ რომ შაჰაბაზმა წამოგვრეკა თვით ქართველის ბრალი იყო, რადგან მან თურმე უღალატა ჩვენს მეფესაო. თეირანიდან ისპაჰანამდი თორმეტი დღის სავალია. გზა მიდის სულ სამხრეთით, ეს გზა გაივლის ახანაში, შემდეგ ალაბადს, მანზალიაში, ქალაქ ყუმში, ლავლუმს, ლავლათაბადს, ხორაში, მაალადს, გოლმაგეთს, გულფეიგანს, ხომსარს და აქედან კი ბოინს, ტაშკეშანას და შეხვალ მარტყოფში.

შაჰაბაზს, როგორც ვიცით, მიზნის მისაღწევათ ერთს საუკეთესო საშუალებათ მიაჩნდა ქართველების დატყვევება. სპარსეთში გადარეკა და იქ მათი ჩასახლება. სწორეთ ამგვარი საშუალებით არის ეგ ჩვენი ძმები სისხლითა და ხორცით ამ მარტყოფში რომ არიან, თვით შუაგულ სპარსეთში.

სოფელი მარტყოფი იმყოფება სამ მთას შუა. ერთ მთას ქვია ციხე, მეორეს შუშარა, მესამეს დიდი წელი. აი რატომ დაურქმევიათ ციხე აქაურ ქართველებს ამ გორისთვის: „აქაური ქართველები დაცემიან ქურთებს, რომლებიც მათ მეზობლათ ცხოვრობენ. გაუნადგურებიათ ისინი, რის შემდეგაც ქურთები წასულან თეირანში შაჰსთან და უთქვამთ: ჩვენ სომხებმა გაგვანადგურეს და გვიშველეთ რამეო. შაჰს შეუგროვებია ასი კაცი და მისდგომია მარტყოფს. ქართველები ასულან და გამაგრებულან ამ მთაში (იმ დროს მათ მაჰმადის სჯული მიღებული ქონიათ უკვე) შაჰას ვერაფერი გაუწყვია ძალით და მიუმართავს ხერხისათვის: მოუყიდნია ერთი ქართველი, რომელსაც უჩვენებია გზა და შესულა შიგ. თავზარდაცემულ ქართველებს უმჯობესად უცვნიათ ამ მთის მწვერვალოზე გადაჩეხილიყვნენ, ვიდრე ცოცხალი დანებებოდენ. მართლაც გადაცვენულან, მაგრამ ერთი მათგანი, შემთხვევით, ჩამოკიდებულა ფეხით ბუჩქზე. სახარება სპარსული გადმოკიდებია გულზე. ეს დაუნახავს შაჰას და უთქვამს რა მიქნია ეს სომხები კი არა, სპარსნი ყოფილანო და, რომლებმაც ვერ მოასწრეს გადაცვენა, გაუთავისუფლებია.

ამ მთებს გარდა მარტყოფში არის კიდევ თათიშვილის გორა, შავ გორა, ტვინთუკანი, მელას გორა, ბალების გორა, პირიქითი, შავყელი, ქალების ქვაბი, სადაც ამაღლებას მთელი ქართველები იკრიბებიან და დროს ატარებენ. რომ კითხავთ: რატომ უქმობთ ამაღლებასაო— გიპასუხებენ: „ჩვენი წინაპარნი უქმობდნენ და ჩვენც ვუქმობთო“ თვით მარტყოფში ირიცხება 1000 კომლი ქართველი, სუყველა სოფელში კი ორმოცდათასამდი ქართველია. სულ 14 სოფელია:

ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, ჩულულეთი, სირაქი, ჯაყჯაყი, თოლელი, ბოინი, ტაშკეშანა, შანაათი, ასჩათი, აფუსი, და ნანოწმიდა. რომ კითხავთ: რატომ ქვია ამას ნინო წმიდაო—გიპასუხებენ: ნინო ყოფილა ვისაც ქრისტიანი წინდანი. უწინ ჩვენც ქრისტიანები ვყოფილვართ და იმის სახელი დაურთქმევიათ ჩვენ წინაპართ ამ სოფლისთვისაო“. სახელები და გვარი სულ ქართული შერჩენიათ, მაგალითად: ონიკანი, ხუციანი, დაჩნანი, გუგუნანი, სეფიანი დათუნანი, გოგიჩანი მაყაშვილი და სხვა.

ზნე-ჩვეულებანი თითქმის ყველა შეუნახავთ. მაგალითად: ქორწილის დროს მაყრული სიმღერა, თავზე გადასაგდები, შილინგი. ტირილის დროს შავის ჩაცმა, თმის გაშლა, თავში ხელის რტყმა, ზარი და სხვანი. სოფლებში სულ ქართულათ ლაპარაკობენ. ქალებმა სრულებით სპარსული არ იციან, არც ბავშვებმა. სპარსულს ეჩვევიან მამაკაცები, მხოლოდ მაშინ, როდესაც წავლენ წამოვლენ სხვაგან, შორს. ამ შუაგულ სპარსეთის თოთხმეტ სოფელში, რომლებიც ერთმანეთის მეზობლობასთან ერთ სპარსულს ვერ გაიგონებთ სულ ქართულად ლაპარაკობენ, ქალები პირგადახდილი არიან, უქმე დღე თავ მორთული დაიარებიან.

ახალი წელიწადი თითქმის არაფრით არ განირჩევა ჩვენი ჩვეულებისაგან. ისეთივე მეკვლეობა. ამასთანავე შემოდის ოჯახის უფროსი დილას ბეჭზე გობ დადგმული და ამბობს: „მივდექ მოვდექ თარესა, ხელი ჩავეც ქილასა, ერბო ვიკარ პირასა, ღმერთო მომეც ახალი (ესე იგი ხორბალი) აღარ მინდა მოასილი (ესე იგი მთავრობის კაცი), ღმერთო, მომეც მზის წესი, აღარ მინდა თვის წესი. ამას უქმობენ პირველ იანვარს და სპარსნი კი სხვა რიცხვში. ასე რომ, ეს ჩვეულებანი სრულებით მხოლოდ ქართველთ ეკუთნის.

ქალს სპარსელებს არ აძლევენ, არც თვითონ ირთვენ მათ ქალს; ერთი მეორეში თხოვდებიან და ათხოვებენ, არც ახახლოებენ სპარსელს თავიანთ ხოველში. შენახულია მათ შორის ასეთი სიმღერა; „შავი იყო შაშძალიყო, შავი ჩიტი მომკვდარიყო, შავდევით თახჩაში გამხმარიყო, ჩავდე ქვაბში დამპალიყო. კაცმა ვერ შეჭამა, ჭიანჭველამ გადყლაპა. კიდევ ხალხური: იანვარი დადგა... დედა კაცი ცომს რომ მოზელს, ზედ ჯვარს დაასვამს. ეს ჯვარი ცომს უმატებსაო.

ერთხელ თურმე ქურთები შემოხვდნენ ერთს სპარსელ ქართველს (რუსები და ისინი დანასისხლათ არიან თავიდანვე) ჯერ თურმე ამ ქართველმა ზრდილობიანათ სალამი მისცა, შემდეგ კი შეაგინა. ქურთებმა კითხეს ან სალამის მოცემა რა იყო და, ან შეგინებაო? სპარსელმა ქართველმა უპასუხა; „სალამი მოგეც მისთვის, რომ არ სთქვა ქართველი უზრდელიაო, შეგაგინე მისთვის, რომ არ სთქვა ვითომც მე ქართველს თქვენი შემეშინდა და მისთვის მოგეცი სალამიო.“ ქართველს სპარსელმა შეურაცყოფა რომ მოაყენოს და მან პასუხი არ გასცეს (რაც იშვიათად მოხდება) სხვა სპარსელნი ქართველტყვიან: „შენ ქართველი არ ხარ შენს ძარღვებში ქართული სისხლი არ სდუღს გასწი, გაგვეცალე ან სამაგიერო გადაუხადე და აგრძნობინე რომ შენ ნამდვილი ქართველი ხარო.

მატ ყოფში არის შემდეგი მდინარეები: დიდი რუვი, გელათი (ისიც აქაურმა ქართველებმა თუ რა არის გელათი), ნივ წყარო. ერთი ხატიშვილი ყოფილა, მას არ მიუღია მაჰმადის სარწმუნოება, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი უწვალებიათ, ახლა კი აქაურ ქართველებთა შორის თქმულებაა, რომელსაც გაჯიუტებულ კაცზე იტყვიან ხოლმე „გაჯიუტდა როგორც ხატი შვილივითო.

სპარსელებს ასეთი ჩვეულება აქვთ: მაგალითად, მოვა ოჯახში, დაიწყებს ლოცვას. ლოცვა კი ყველას არ ესმის, ლოცულობს „ტირილით“ და მას აძლევენ ხორბალს და სხვადასხვა სანოვაგეს. ერთხელ ქართველთა შორის ჩამოვარდნილა შიმშილობა რადგან საშუალება არსაით ყოფილა. წასულა, რამოდენიმე ქართველი სპარსელების სოფლათ და რადგან ლოცვა არ ცოდნიათ სპარსულათ წაუშენიათ ხელები თავში და დაუწყიათ: „თებერვალი ბერავდა, მარტი... ვითომც ვლოცულობთ და გახვეწებთ ღმერთს, რათა მან ცოდვანი შეგვინდოსო. ამნაირათ შეუკრებიათ ხორბალი. აქ ერთი პოეტიც არის, რომელსაც სპარსულს ენაზე ბევრი ღირსშესანიშნავი ლექსი და პოემა დაუწერია. სპარსულათ დაუწერია იმიტომ, რომ სპარსული განათლება აქვს მიღებული და აქ მეორე თუ არა მესამე ადგილი უჭირავს. პოეტებში ქართულათაც უთქვამს რამოდენიმე ლექსი, რომლის ნაწყვეტიც ვიპოვე გადამახინჯებული. აი ეს:

ყორო *) დგახარ ქალებ შუა<br>
ხალი გაზის წარბებ შუა<br>
შენი სახე როსაც ვნახე<br>
სწრაფათ გულში ჩამესახე..

**ზიმენ ჭიჭინაძე.**

# ჩემს რწმუნებულებს.

თქვენ, პატივცემულ ჩემს რწმუნებულებს და ყველა იმ პირთ, რომელთა შვილებიც არ იყვნენ მიღებულნი, უადგილობის გამო, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის უმცროსს განყოფილებაში, მოგიწოდებთ, რათა დაუყონებლივ ჩამობრძანდეთ ქუთაისში ოთხშაბათს, 16 ენკენისთვეს, და შეიკრიბოთ სასულიერო სასწავლებელში.

ჩემი შუამდგომლობა მათი მაღალ ყ-დ სამღვდელო საქართველოს ეგზარხოსი პიტირიმის და ყ-დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გიორგის მიერ შეწყნარებულ იქნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში თქვენ მოთხოვნისამებრ გახსნილ იქნება პარალელური უმცროსი განყოფილება და გვეთხოვება მხოლოდ გროშები დროზე, შესანახი განყოფილებისა, რაიცა თან უნდა იქონიოთ ხსენებულ განყოფილებაში ბავშვების მიმცემლებმა; წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს აყოვნდება. რაოდენობა გადასახადისა თქვენი თანდასწრებით გამოირკვევა.

მაშ წინ, საქმეს ფრთხილად დავუხვდეთ, როგორც სათავეში, აგრეთვე ბოლოშიდაც, რო ჩვენ მიერ განზრახული საქმე ჩვენვე არმ დავაქციოთ; ანთებული სანათი ჩვენვე არ დავაქროთ.

დაე, გაემარჯოს თქვენს წმიდა მიზანს და მისწრაფებას! აკად. მ. ხელიძემ.

*) ყორო ქალო.

# სადვთო სჯული სასოფლო სკოლებში.

სადვთო სჯულის რიგიანი მეთოდიკა რუსულ ენაზედაც არ არის შედგენილი, არამც თუ ქართულზე. ეს გარემოება დიდათ აფერხებს ჩვენი სკოლების ნაყოფიერ მოღვაწეობას. სადვთო სჯულს სამინისტრო და სამრევლო სასოფლო სკოლებში, უმეტეს ნაწილათ, ისეთი პირები ასწავლიან, რომლებიც სრულებით არც ერთი საგნის მეთოდიკასთან არ არიან გაცნობილი. ეს გარემოება კიდევ უფრო აფერხებს სადვთო სჯულის სწავლების საქმეს. ჩვენებური სადვთო სჯულის სახელმძღვანელოებიც დიდ დახმარებას ვერ უწევენ მასწავლებლებს. როგორც რუსული, აგრეთვე ქართული სადვთო სჯულის ყველა სახელმძღვანელო შაბლონურათ, უწმინდესი სინოდისაგან დამტკიცებული პროგრამისამებრ არის შედგენილი. ამ პროგრამის თანახმათ, პირველათ, ყველა დარგის სკოლებში, სადმრთო სჯულის მასწავლებლებმა, პირველ განყოფილების მოსწავლეებს ლოცვები უნდა შეასწავლონ. პატარა ნორჩი ყრმისათვის ლოცვების ზეპირად დასწავლა, და ისიც უცოდინარი მასწავლებლის ხელში, პირდაპირ ფიზიკურ მუშაობას წარმოადგენს. რადგანაც ზევით ხსენებული პროგრამა პირველად ლოცვების სწავლებას მოითხოვს, ამისათვის დიდათ საჭიროა იცოდეს კაცმა, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს ლოცვები. ლოცვებს, ჩვენი სადმრთო სჯულის სასოფლო სკოლების მასწავლებლები, ტექსტის სიტყვებით პირდაპირ აზეპირებინებენ. ეს დიდი პედაგოგიური შეცდომა არის. ლოცვის მთელი შინაარსი, მოკლეთ რაც შეიძლება, მოთხრობითი ხასიათის სახით უნდა შეისწავლოს ბავშმა პირველად, მხოლოდ შემდეგ ამისა, შეგვიძლია გადავიდეთ პირდაპირ ტექსტზე [illegible] ზეპირათ. მარტო ცალკე სიტყვების ახსნა განმარტება, [illegible] ისიც ამისთანა პატარა ბალღებისაგან, რომლებმაც არც ანი იციან ჯერეთ და არც ბანი, საქმეს ვერ შველის მიტომ, რომ ლოცვა ლექსი არ არის, რომ რითმის საშუალებით დაისწავლოს იგი ბავშმა ზეპირათ. რაც შეეხება სადმრთო ისტორიის შესწავლას სკოლებში არც ეს არის პედაგოგიურ ნიადაგზე დაყენებული ისტორიის მოთხრობებს წიგნში აკითხებენ და ისე ასწავლიან. ამისთანა სწავლებას თითქმის არავითარი ინტერესი არ აქვს. მიუცილებლათ საჭიროა სადმრთო სჯულის მასწავლებელი გაკვეთილებისათვის ემზადებოდეს. ესა თუ ის მოთხრობა მასწავლებელმა უსათუოდ თავის ცოცხალი ენით უნდა გადასცეს მოსწავლეებს. გადაცემული მოთხრობა, რამოდენიმე მოსწავლეს უნდა გაამეორებინოს და ისე შეასწავლოს და ბოლოს წააკითხოს წიგნში უცოდინარი და გაუგებარი სიტყვა ფრაზების ახსნით, თორემ აქედან აქნობამდის მხოლოდ წიგნში ჩვენებით, რასაც მასწავლებლების უმრავლესობა ჩადის, იმას მოვიმკით, რასაც დღეს ვხედავთ ჩვენ სოფლის სკოლებში კარგი იქნება, რომ დიდათ პატივცემულ არქიმანდრიტი მ. ნესტორი თავის სახელმძღვანელოებს სადმრთო სჯულის მეთოდიკით დაავგვირგვინებდეს.

**მ. ბუაჩიძე.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**


**მასწავლებელი** ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელოდა ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აბთრინის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სასაზაფხო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილას 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, 5—6 საათამდის. 12—7

მოსკოვის ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში კურს დასრულებული ვეძებ მასწავლებლის ადგილს ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში. სპეციალურათ შესწავლილი მაქვს,

**ქალთა ტანისამოსის ჭრა-კერვა და სხვა და სხვა ხელსაქმე.** მაქვს სათანადო მოწმობა და ატესტატი მოსკოვის სახელოსნო გამგეობისაგან. ვიყვან აგრეთვე მოწაფეებს. სახლში მისამართი: კაზაკოვის ქუჩა სახლი კიკვაძისა. 6—6

**გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში**

**მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული წიგნი:**

**„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,**

შედგენილი **ს. რ. გორგაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

**დიდი იაფი ვაჭრობა**

**ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.**

**რომლის ფასები $50^0/_0$-დან $75^0/_0$-დე დაკლებულია.**

პატივისცემით **დ. მ. ბახტაძე.**

თვ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

**—| აბანო. |—**

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაუთლიდ ციებს (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისიენეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოთი.

თ.